

**პროფესორ ვახტანგ გაბრიჩიძის ხსოვნა
(1938 – 2011)**

ვახტანგ დავითის ძე გაბრიჩიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, "გამოთვლითი ტექნიკის" კათედრის თანამშრომელი 50 წლის და "ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის" (შემდგომ "ინფორმატიკის და მართვის სისტემების") ფაკულტეტის დეკანის მოადგილე 30 წლის მანძილზე, მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



ბატონი ვახტანგი დაიბადა 1938 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში. 1957 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანვე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა და დატოვეს "ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის" საპრობლემო ლაბორატორიის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

ბატონი ვახტანგი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ნიკოლოზ გაბაშვილის მიერ დაფუძნებული ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი გახლდათ. იგი 1964-1971 წლებში საპრობლემო ლაბორატორიის უფროს ინჟინრად მუშაობდა. ამ პერიოდში მან თავისი სამეცნიერო საქმიანობა "მასწავლ-სისტემებთან" დაკავშირებული პრობლემების კვლევას მიუძღვნა და ამ საკითხზე მრავალი საყურადღებო შრომა გამოაქვეყნა.

1971 წელს ვ. გაბრიჩიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და აირჩიეს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის ასისტენტად, შემდგომ - უფროს მასწავლებლად, ხოლო 1976 წელს მას დოცენტის წოდება მიენიჭა.

1972 წელს ბატონი ვახტანგი დაინიშნა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, იგი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საინჟინრო ფაკულტეტის სასწავლო პროცესს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვ. გაბრიჩიძის მოღვაწეობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი - დეკანად. იგი, როგორც უმაღლესი სკოლის თავდადებული მუშაკი, რეფორმების დაწყებისთანავე ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესში უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვისა და კომპიუტერული წიგნიერების დასამკვიდრებლად.

ბატონ ვახტანგს, როგორც მოწოდებით პედაგოგს, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, რომელიც მას დიდ პატივს მიაგებდა, როგორც უაღრესად გულითად და მაღალი კომპეტენციის მასწავლებელსა და მეცნიერს. იგი მოღვაწეობის ბოლო წლებში ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის სრული პროფესორის თანამდებობაზე მუშაობდა. მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი და ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებენ მისი მაღლიერი შთამომავლობა, მეგობრები და კოლეგები.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედაქცია**